

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის პირველ ნაწილში ცვლილების შეტანა განპირობებულია მუხლის ამ ნაწილში არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, მკვეთრად განისაზღვრა პროკურორის მიერ ბრალდებულად პირის დაკავებიდან აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შუამდგომლობის წარდგენის ვადა. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განიხილავს შუამდგომლობისა და საქმის მასალების წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ასიგნებათა გამოყოფას.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.